მინსკში – 2 ქულა!

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 22 აპრილი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

მინსკი: ვერგეენკო, ბელოუსი, გირკო, სლოვაკი, კუზნეცოვი, კურნევი (ლომაკინი), ტიმოფეევი, ვორონინი, ვასილიევი, გრიგორიევი, სახაროვი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), წერეთელი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები – 5:4 პენალტებით თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ. ძირითადი დრო – 1:1.

ბოლო 2 წელიწადია თბილისის “დინამოს” ჩემპიონატის მესამე ტურში მინსკში უწევს თამაში იქაურ თანაკლუბელებთან. ასე იყო შარშან, როცა ჩვენი გუნდი ბელორუსიის დედაქალაქს 3 ქულით ეწვია 2 ტურის შემდეგ, ასე მოხდა ახლაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თბილისელებს მხოლოდ 1 ქულა გააჩნდათ 4 შესაძლებლიდან.

ასეთი მოკრძალებული აქტივი თბილისელთა წინაშე კატეგორიულ ამოცანას სახავდა: წაგება არ შეიძლებოდა არავითარ შემთხვევაში, ვინაიდან სტარტზე 3 მატჩში დაკარგული 5 ქულის ანაზღაურება შემდგომში უკიდურესად ძნელი საქმე გახდებოდა, წინ კი ურთულესი მატჩია სათამაშო მოსკოვში 28 აპრილს “სპარტაკთან”. საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზება, სრული შესაძლებლობით თამაში, რათა მდგომარეობა ამ ეტაპზევე გამოსწორებულიყო. ამასთან, გუნდის ხელმძღვანელობა იმ აუცილებელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომ კორექტივი შეეტანა თავდასხმის ხაზში, რომელმაც ძალზე სუსტად, პასიურად ითამაშა კიევის “დინამოსთან” საკუთარ მინდორზე.

გამოსავალი ასეთი იქნა მოძებნილი: მარცხენა ფლანგი მიანდეს დუბლიორთა შემადგენლობის მოთამაშეს ზურაბ წერეთელს და უნდა ითქვას, ახალგაზრდა მოთამაშემ პირნათლად გაამართლა ნდობა. დებიუტანტმა თავისი პირველი მატჩი საკავშირო ჩემპიონატში ჩაატარა აქტიურად, მონდომებით, დიდი დატვირთვით და ღირსეული წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში. მისი სწრაფი, ხშირი მანევრები გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა მინსკელთა დაცვას, ამას გარდა, წერეთელი უნარიანად მოქმედებდა მაშინაც, როცა თბილისელებს მეტოქის შეტევათა მოგერიება უხდებოდათ.

განახლებული შემადგენლობით გამოვიდა მინსკში ნახევარდაცვის ხაზიც. აქ ოდნავ უკან დაწეული, ცენტრალური ზონის სიახლოვეს თამაშობდა ებრალიძე, რომელიც ფაქტიურად წინ წაწეულ სტოპერს წარმოადგენდა, თუმცა საჭიროების შემთხვევაშიც არ არღვევდა ნახევარმცველთა შემტევ ხაზსაც.

მატჩი თავიდანვე სწრაფ ტემპში, ცოცხლად მიმდინარეობდა. თბილისელებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ მასპინძლები იხსნა მეკარე ვერგეენკომ. მან ჯერ ყიფიანისგან აიღო ძალზე ძნელი ბურთი, მერე კი კვლავ გამოიჩინა თავი წერეთელი–რეხვიაშვილის კომბინაციის შემდეგ.

მძიმე სამუშაო ჰქონდა გოგიასაც. შესვენებამდე მას გრიგორიევისგან მოუხდა კარის ხსნა, მეორე ტაიმში კი, მე–60 წუთზე, ვასილიევთან პირისპირ დარჩენილმა თითქმის უიმედო ბურთი გადაარჩინა.

ამ პერიოდში, მეორე ტაიმის პირველი 15–20 წუთის მანძილზე თბილისელებს უაღრესად რთულ ვითარებაში მოუხდათ თამაში. მასპინძლები უტევდნენ თითქმის განუწყვეტლივ, გაძლიერებული ძალებით და დაცვამ ხურცილავას მეთაურობით შეძლო ყველა ხიფათის მოგერიება.

შემდგომში მდგომარეობა გამოსწორდა, სტუმრები ისევ გადავიდნენ იერიშზე, ვერგეენკომ ძნელი ბურთები აიღო ყიფიანისა და რეხვიაშვილისგან, მინსკელთა კარი ორჯერ მოსინჯა ხურცილავამ, შეტევაში მონაწილეობდნენ მაჩაიძე და ასათიანიც.

მაგრამ მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, შედეგი კი არ ჩანდა. და აი 84–ე წუთზე, როცა მასპინძლები მოწინააღმდეგის ნახევარზე იმყოფებოდნენ, თბილისელებმა მოიგერიეს ბურთი, იგი მიიღო რეხვიაშვილმა, შეასრულა ინდივიდუალური გარღვევა და ძლიერად დაარტყა კარში. ვერგეენკომ შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ რეხვიაშვილმა კვლავ მიუსწრო და ხელმეორე დარტყმით ბადეში გაგზავნა იგი – 1:0. ამ გოლმა უაღრესად საჭირო გამარჯვება მოუტანა თბილისის "დინამოს".

მატჩში დაწესებული იყო სპეციალური პრიზი საუკეთესო მოთამაშისთვის. იგი გადაეცა თბილისელთა ცენტრალურ მცველს მ. ხურცილავას.

"ლელო", 24 აპრილი, 1973 წ.